

## შეთანხმება

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის  
საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა და რუსეთის ფედერაციის მთავრობა,  
სურთ რა ურთიერთგაგების საფუძველზე, ორ სახელმწიფოს შორის განავითარონ  
სამგზავრო და საგვირთო საავტომობილო მიმოსვლა და ტრანზიტი მათ ტერიტორიებზე; აგრეთვე  
სურთ რა გაამარტივონ ეს მიმოსვლა,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

### მუხლი 1

წინამდებარე შეთანხმების შესაბამისად, მგზავრების, ტურისტების ჩათვლით, რეგულარული  
და არარეგულარული გადაყვანა, გვირთის გადაზიდვები ორ სახელმწიფოს შორის, გვირთის  
გადაზიდვა ტრანზიტით მათ ტერიტორიებზე, განხორციელდება საქართველოს რესპუბლიკასა და  
რუსეთის ფედერაციაში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებით იმ გზებზე, რომლებიც  
გახსნილია საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლისათვის.

### მუხლი 2

შეთანხმებულ მხარეთა კომპეტენტურ ორგანოთა განსაზღვრა, წინამდებარე შეთანხმებაში  
გამოყენებული სპეციალური ტერმინოლოგია, ასევე, დებულებები, რომლებიც დაკავშირებულია  
სარეგისტრაციო და განმასხვავებელი ნიშნების გამოყენებასთან, მოყვანილია წინამდებარე  
შეთანხმებაზე თანდართულ ოქმში, რომელიც წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მგზავრების გადაყვანა

### მუხლი 3

ავტობუსებით მგზავრების რეგულარული გადაყვანა განხორციელდება მონაწილე მხარეების  
კომპეტენტურ ორგანოებს შორის შეთანხმებით.

მგზავრების გადაყვანის ორგანიზებასთან დაკავშირებულ წინადადებებს მონაწილე  
მხარეები კომპეტენტური ორგანოების საშუალებით წინასწარ წარუდგენენ ერთმანეთს.

ეს წინადადებები უნდა შეიცავდეს გადამზიდვის (ფორმის) დასახელებას, სვლაგზის,  
მოძრაობის განრიგის, ტარიფების, მოძრაობის პუნქტებს, სადაც გადამზიდავი განახორციელებს  
მგზავრების ჩასმას და გადმოსხლომას და აგრეთვე მოსალოდნელი გადაყვანების პერიოდულობისა  
და რეგულირების მონაცემებს.

### მუხლი 4

ორ სახელმწიფოს შორის ავტობუსით მგზავრების არარეგულარული გადაყვანა, ან მათ ტერიტორიებზე ტრანზიტით გადაყვანა, გარდა წინამდებარე შეთანხმების მე-5 მუხლში გათვალისწინებული გადაყვანებისა, საჭიროებს ნებართვებს, რომლებიც გაიცემა მონაწილე მხარეების კომპეტენტური ორგანოების მიერ.

მონაწილე მხარეების კომპეტენტური ორგანოები ნებართვებს გასცემენ გზის იმ მონაკვეთზე, რომელიც გადის მათი სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

ავტობუსებით მგზავრების თითოეული არარეგულარული გადაყვანისათვის უნდა გაიცეს ცალკეული ნებართვა, რომელიც იძლევა ერთი რეისის განხორციელების უფლებას პირდაპირი და უკუმიმართულებით, თუ სხვა რამ არ არის აღნიშნული ამ ნებართვაში.

ორივე მონაწილე მხარის კომპეტენტური ორგანოები ყოველწლიურად გადაცემენ ერთმანეთს მგზავრთა არარეგულარული გადაყვანისათვის საჭირო ნებართვის ურთიერთშეთანხმებული რაოდენობის ბლანკებს. ამ ბლანკებს უნდა ჰქონდეთ ნებართვის გამცემი კომპეტენტური ორგანოს ბეჭედი და ხელმოწერა.

მონაწილე მხარეების კომპეტენტური ორგანოები ერთმანეთს უთანხმებენ ნებართვის ბლანკების გაცვლის წესს.

## მუხლი 5

ავტობუსებით მგზავრების არარეგულარული გადაყვანა არ საჭიროებს ნებართვებს იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი და იგივე შემადგენლობის მგზავრთა ჯგუფი მთელი სვლაგეზის განმავლობაში გადაიყვანება ერთი და იმავე ავტობუსით:

თუ ეს მგზავრობა იწყება და მთავრდება იმ მონაწილე მხარის ტერიტორიაზე, სადაც ავტობუსი არის რეგისტრირებული.

თუ ეს მგზავრობა იწყება იმ მონაწილე მხარის ტერიტორიაზე, სადაც ავტობუსი არის რეგისტრირებული და მთავრდება მეორე მონაწილე მხარის ტერიტორიაზე იმ პირობით, რომ ავტობუსი ამ ტერიტორიას ცარიელი დატოვებს.

გაუმართავი ავტობუსის სხვა ავტობუსით შეცვლა არ საჭიროებს ნებართვას.

ამ მუხლის 1-ლ პუნქტში გათვალისწინებული გადაყვანების შესრულებისას ავტობუსის მძღოლმა თან უნდა იქონიოს მგზავრების სია.

ტვირთის გადაზიდვა

## მუხლი 6

ტვირთების გადაზიდვა ორ სახელმწიფოს შორის ან მათ ტერიტორიებზე ტრანზიტით გადაზიდვა, გარდა ამ შეთანხმების მე-8 და მე-9 მუხლში გათვალისწინებული გადაზიდვებისა, ხორციელდება მისაბმელის მქონე სატვირთო ავტომანქანებით, ან მისაბმელის გარეშე, ან ნახევარმისაბმელის მქონე მაწევარათი, ნებართვების საფუძველზე, რომლებიც გაიცემა მონაწილე მხარეების კომპეტენტური ორგანოების მიერ.

ნებართვა გაიცემა თითოეულ ავგოსაგრანსპორტო საშუალებებზე და მოქმედია მხოლოდ იმ გადაზიდვებისათვის, რომელზეც გაიცემა ეს ნებართვა.

## მუხლი 7

წინამდებარე შეთანხმების მე-6 მუხლში აღნიშნული ნებართვები არ ესაჭიროება შემდეგ გადაზიდვებს:

ა) ბაზრობებისა და გამოფენებისათვის გათვალისწინებული ექსპონატების, მოწყობილობების და მასალების გადაზიდვას;

ბ) საგრანსპორტო საშუალებების, ცხოველების, ასევე სხვადასხვა ინვენტარისა და ქონების გადაზიდვას, რომლებიც გათვალისწინებულნი არიან სპორტული ღონისძიებების ჩასატარებლად.

გ) თეატრალური დეკორაციებისა და რეკვიზიტების, მუსიკალური ინსტრუმენტების, მოწყობილობებისა და კინოგადაღებების, რადიო და სატელევიზიო გადაცემებისათვის გათვალისწინებული აღჭურვილობის გადაზიდვა;

დ) გარდაცვლილთა ნეშტისა და ფერფლის გადატანა;

ე) საფოსტო გზავნილების გადაზიდვა;

მ) წყობიდან გამოსული საგრანსპორტო საშუალებების გადაზიდვა;

თ) გადასახლებისას მოძრავი ქონების გადაზიდვა;

ი) იმ გვირთის გადაზიდვა, რომელიც გათვალისწინებულია სტიქიური უბედურების შემთხვევაში დახმარების აღმოსაჩენად;

კ) იმ გვირთების გადაზიდვა, რომელიც გათვალისწინებულია ჰუმანიტარული დახმარების გასაწევად;

ნებართვები ასევე არ ესაჭიროება ტექნიკური დახმარების ავტომობილების გადაადგილებას.

გამონაკლისები, რომლებიც გათვალისწინებულია ამ მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტებში, მოქმედებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ გვირთი ექვემდებარება უკან დაბრუნებას იმ სახელმწიფოში, სადაც რეგისტრირებულია ავგოსაგრანსპორტო საშუალება, ან თუ გვირთი გადაიტანება მესამე სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

## მუხლი 8

გადაზიდვას უფლება აქვს განახორციელოს გვირთების გადაზიდვა მეორე მონაწილე მხარის ტერიტორიიდან მესამე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ასევე მესამე სახელმწიფოს ტერიტორიიდან მეორე მონაწილე მხარის ტერიტორიაზე სპეციალური ნებართვის საფუძველზე, რომელსაც გასცემენ მონაწილე მხარეების კომპეტენტური ორგანოები.

## მუხლი 9

ერთ-ერთი მონაწილე მხარის ავგოსაგრანსპორტო საშუალებით მეორე მონაწილე მხარის ტერიტორიაზე სახიფათო გვირთების გადაზიდვა ხორციელდება სპეციალური ნებართვით, რომელსაც გასცემს მეორე მონაწილე მხარის კომპეტენტური ორგანო.

იმ შემთხვევაში, როდესაც დაგვირთული ან დაუგვირთავი ავგოსაგრანსპორტო საშუალებების წონა და გაბარიტები აღემატება იმ ზღვრულ ნორმებს, რომლებიც დადგენილია მეორე მონაწილე მხარის ეროვნული კანონმდებლობით, გადამზიდავმა უნდა მიიღოს სპეციალური ნებართვა ამ მონაწილე მხარის კომპეტენტური ორგანოებისაგან.

თუ ამ მუხლის 1-ლ და მე-2 პუნქტებში აღნიშნულ ნებართვებში ნაჩვენებია გადაზიდვის განსაზღვრული მარშრუტები, მაშინ გადაზიდვა უნდა განხორციელდეს ამ მარშრუტებით.

## მუხლი 10

ამ შეთანხმებით გათვალისწინებული გვირთების გადაზიდვა უნდა განხორციელდეს ზედღებულებით, ხოლო მათი ფორმა უნდა შეესაბამებოდეს მიღებულ საერთაშორისო ნიმუშებს.

ზოგადი დებულებები

## მუხლი 11

მგზავრების გადაყვანა და გვირთების გადაზიდვა, რომლებიც ხორციელდება ერთ-ერთი მონაწილე მხარის გადამზიდავების მიერ მეორე მონაწილე მხარის ტერიტორიაზე ამ შეთანხმების საფუძველზე, ასევე ავგოსაგრანსპორტო საშუალება, რომელიც ასრულებს ამ გადაზიდვებს, თავისუფლდება იმ ბეგარისა და ანაკრებებისაგან, რომლებიც დაკავშირებულია ამ შეთანხმებით გათვალისწინებული ნებართვების გაცემასთან, გზების გამოყენებასა და შენახვასთან, ასევე იმ გადასახადებისა და ანაკრებებისაგან, რომლებიც ცალკე აიღება თითოეულ გადაზიდვაზე, გარდა:

გადასახადისა ფასიანი გზებისა და ხიდების გამოყენებისათვის (უფასო ალტერნატიული გზის არსებობის შემთხვევაში).

## მუხლი 12

ავგოსაგრანსპორტო საშუალებებს, რომლებიც ახორციელებენ საერთაშორისო გადაზიდვებს, უნდა ჰქონდეთ თავისი ქვეყნის სარეგისტრაციო და განმასხვავებელი ნიშნები.

მისაბმელებს და ნახევარმისაბმელებს შეიძლება ჰქონდეთ სხვა ქვეყნების სარეგისტრაციო და განმასხვავებელი ნიშნები იმ პირობით, რომ საგვირთო ავტომობილებსა და საავტომობილო საწვევრებს ექნებათ საქართველოს რესპუბლიკის ან რუსეთის ფედერაციის სარეგისტრაციო და განმასხვავებელი ნიშნები.

## მუხლი 13

გადამზიდავს არა აქვს უფლება განახორციელოს მგზავრების გადაყვანა ან გვირთის გადაზიდვა მეორე მონაწილე მხარის ტერიტორიაზე განლაგებულ ორ პუნქტს შორის.

## მუხლი 14

მგზავრების გადაყვანა ან გვირთის გადაზიდვა ამ შეთანხმების საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სამოქალაქო პასუხისმგებლობის წინასწარი დაზღვევის აუცილებელი პირობით. გადამზიდავი ვალდებულია წინასწარ დააზღვიოს თითოეული ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომელიც ასრულებს აღნიშნულ გადაზიდვებს.

## მუხლი 15

ამ შეთანხმების დებულებების დარღვევის შემთხვევაში, შეთანხმებული მხარის კომპეტენტური ორგანოები, სადაც რეგისტრირებულია ავტოსატრანსპორტო საშუალება, ვალდებულია მეორე მონაწილე მხარის კომპეტენტური ორგანოების თხოვნით, სადაც დარღვევას ჰქონდა ადგილი, თავის ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის მიუხედავად გაატაროს ერთ-ერთი შემდეგი ღონისძიება;

ა) გაფრთხილება მისცეს გადამზიდავს;

ბ) გადამზიდავს მისცეს გაფრთხილება განცხადებით, რომ დარღვევის განმეორების შემთხვევაში გარკვეული ვადით შეჩერდება ნებართვა გადაზიდვების განხორციელებაზე ან გაუქმდება ამ მუხლის გ) პუნქტის მიხედვით;

გ) გარკვეული ვადით შეაჩეროს ან გააუქმოს ამ შეთანხმების საფუძველზე გაცემული ნებართვა.

მონაწილე მხარეების კომპეტენტური ორგანოები ერთმანეთს შეაგყობინებენ გატარებული ღონისძიებების შესახებ.

## მუხლი 16

სასაზღვრო, საბაჟო და სანიტარულ კონტროლთან დამოკიდებულებაში გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულებების დებულებები, რომელთა მონაწილე არის ამ შეთანხმების ორივე მონაწილე მხარე, ხოლო იმ საკითხების გადაწყვეტისას, რომლებიც არ არის დარეგულირებული ამ ხელშეკრულებებით, გამოყენებულ იქნება საქართველოს რესპუბლიკის ან რუსეთის ფედერაციის შიდა კანონმდებლობა.

## მუხლი 17

მძიმე ავადმყოფისა და ავტობუსებით მგზავრების რეგულარული გადაყვანისას, ასევე ცხოველების გადაყვანისა და მალფუჭებადი გვირთის გადაგანის შემთხვევაში სასაზღვრო, საბაჟო და სანიტარული კონტროლი განხორციელდება ურიგოდ.

## მუხლი 18

1. ამ შეთანხმების საფუძველზე გადაზიდვების შესრულებისას საბაჟო გადასახადებისაგან, ანაკრებებისა და ნებართვებისაგან თავისუფლება მეორე მონაწილე მხარის ტერიტორიაზე შემოგანილი:

ა) საწვავი, რომელიც მოთავსებულია ავტოსაგრანსპორტო საშუალების თითოეული მოდელისათვის გათვალისწინებულ, ძრავის კვების სისტემასთან კონსტრუქციულად და ტექნოლოგიურად დაკავშირებულ ავზებში.

ეს ვრცელდება მხოლოდ იმ საწვავზე, რომელიც მოთავსებულია დამამზადებელი ქარხნის მიერ ავტომობილებზე და საავტომობილო საწვევარებზე დაყენებულ ავზებში; ასევე იმ საწვავებზე, რომელიც მოთავსებულია მისასაბმელებზე და ნახევარმისაბმელებზე ავზებში, რომელიც გათვალისწინებული არის რეფრეკერატორების სამაცივრო დანადგარების მუშაობისათვის.

ბ) საპოხი მასალები, იმ რაოდენობით, რამდენიც საჭიროა გადაზიდვის განმავლობაში გამოსაყენებლად.

გ) სათადარიგო ნაწილები და ინსტრუმენტები, რომლებიც გათვალისწინებულნი არიან იმ ავტოსაგრანსპორტო საშუალების რემონტისათვის, რომელიც ასრულებს საერთაშორისო გადაზიდვებს.

2. გამოუყენებელი სათადარიგო ნაწილები ექვემდებარება უკან გაგანას, ხოლო გამოცვლილი სათადარიგო ნაწილები გაგანილ უნდა იქნეს ქვეყნიდან, ან განაღდგურდეს, ან ჩაბარდეს შესაბამის სახელმწიფოს ტერიტორიაზე დადგენილი წესით.

## მუხლი 19

ავტოსაგრანსპორტო ან სატვირთო ავტომობილების მძღოლებმა თან უნდა იქონიონ მიე მიერ მართული ავტოსაგრანსპორტო საშუალების კატეგორიის შესაბამისი ეროვნული ან საერთაშორისო მძღოლის მოწმობები და ავტოსაგრანსპორტო საშუალების ეროვნული რეგისტრაციის დოკუმენტები.

მძღოლის ეროვნული ან საერთაშორისო მოწმობები უნდა შეესაბამებოდეს საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო ნიმუშებს.

ნებართვები და სხვა დოკუმენტები, რომლებიც მოითხოვება ამ შეთანხმების დებულებების შესაბამისად უნდა იყოს მძღოლთან და წარედგინოს მონაწილე მხარეთა კომპეტენტურ ორგანოების მოთხოვნით.

## მუხლი 20

ამ შეთანხმების ფარგლებში განხორციელებული გადასახადები იწარმოებს მონაწილე მხარეებს შორის გადახდის დღეს გადახდის შესახებ მოქმედი შეთანხმების შესაბამისად.

## მუხლი 21

გადამზიდავი და საგრანსპორტო საშუალების ეკიპაჟი, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ერთ-ერთი მონაწილე მხარის ტერიტორიაზე ვალდებული არიან დაიცვან იმ სახელმწიფოს მოძრაობის წესები და კანონები, რომლის ტერიტორიაზეც იქნება ავტოსაგრანსპორტო საშუალება.

## მუხლი 22

საკითხებს, რომლებიც შეიძლება წამოიჭრას ამ შეთანხმების განმარტებასა და გამოყენებასთან დაკავშირებით მონაწილე მხარეები გადაწყვეტენ მოლაპარაკებისა და კონსულტაციების გზით.

## მუხლი 24

ეს შეთანხმება არ ეხება მონაწილე მხარეების იმ უფლებებსა და ვალდებულებებს, რომლებიც გამომდინარეობენ მათ მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან.

## მუხლი 25

ეს შეთანხმება ძალაში შედის იმ დღიდან 30 დღის გასვლის შემდეგ, რაც მხარეები დიპლომატიური არხებით ერთმანეთს შეაგყობინებენ მხარეთა მიერ საკანონმდებლო პროცედურების შესრულების შესახებ, რაც აუცილებელია მისი ძალაში შესვლისათვის.

ეს შეთანხმება დადებულია განუსაზღვრელი ვადით და რჩება ძალაში 90 დღის გასვლამდე იმ დღიდან, როდესაც ერთ-ერთი მონაწილე მხარე დიპლომატიური არხების მეშვეობით შეაგყობინებს მეორე მონაწილე მხარეს, მისი სურვილის შესახებ შეთანხმების მოქმედების შეწყვეტის თაობაზე.

შესრულებულია: თბილისი, 3 თებერვალი 1994 წ. ორ პირად, ქართულ და რუსულ ენებზე, ამასთან ორივე პირს ერთნაირი ძალა აქვს.

საქართველოს რესპუბლიკის  
მთავრობის სახელით

რუსეთის ფედერაციის  
მთავრობის სახელით

## ოქმი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ შეთანხმების შესრულების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ 1994 წლის 3 თებერვალს თბილისში ხელმოწერილი შეთანხმების გამოყენების მიმართებაში

მიღწეულია შეთანხმება შემდგომში:

ტერმინი „გადამზიდავი,“ ნიშნავს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც თავისი ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილია განახორციელოს საერთაშორისო გადაზიდვები.

ტერმინი „საგრანსპორტო საშუალება„ ნიშნავს:

ტვირთების გადაზიდვის დროს – სატვირთო ავტომობილი, სატვირთო ავტომობილი მისაბმელით, საავტომობილო მაწევარი ან საავტომობილო მაწევარი ნახევარ მისაბმელით;

მგზავრების გადაყვანის დროს – ავტობუსი, ანუ ავტოსაგრანსპორტო საშუალება, რომელიც განსაზღვრულია მგზავრების გადასაყვანად და რომელსაც გააჩნია არა უმცირეს 8 დასაჯდომი ადგილი, მძღოლის ადგილის ჩათვლელად და აგრეთვე მგზავრების ტვირთის გადასატანად მისაბმელი;

ტერმინი „მგზავრების რეგულარული გადაყვანა„ - ნიშნავს მგზავრების გადაყვანას, რომლებსაც განახორციელებენ მონაწილე მხარეების საგრანსპორტო საშუალებები წინასწარ შეთანხმებული მარშრუტის, ტარიფებისა და განრიგის გათვალისწინებით.

ტერმინი „არარეგულარული გადაყვანა„ ნიშნავს ყველა სხვა გადაყვანებს.

ტერმინი „ტრანზიტული გადაყვანა„ ნიშნავს მგზავრების გადაყვანას და ტვირთის გადაზიდვას ერთ-ერთი მონაწილე მხარის ტერიტორიის გავლით ორ პუნქტს შორის, რომელიც არ იმყოფება მონაწილე მხარის ტერიტორიაზე.

ტერმინი „სანიტარული კონტროლი„ ნიშნავს სანიტარულ, ვეტერინარულ, ასევე ფიტოსანიტარულ კონტროლს.

ტერმინი „ნებართვა„ - ნიშნავს დოკუმენტს, რომელიც იძლევა ერთი მხარის ავტოსაგრანსპორტო საშუალების მეორე მხარის ტერიტორიაზე შესვლის ან ტერიტორიიდან გასვლის ნებართვას, ან ტრანზიტის უფლებას მეორე მხარის ტერიტორიის გავლით.

წინამდებარე შეთანხმებაში შეთანხმებულ მხარეთა კომპეტენტური ორგანოები შეიძლება გაგებულ იქნას:

საქართველოს რესპუბლიკის მიმართებაში – საქართველოს რესპუბლიკის საავტომობილო გრანსპორტის დეპარტამენტი;

რუსეთის ფედერაციის მიმართებაში - რუსეთის ფედერაციის გრანსპორტის სამინისტრო;

წინამდებარე შეთანხმების მე-5 მუხლით გათვალისწინებული წესი ვრცელდება აგრეთვე ავტობუსებით განხორციელებულ არარეგულარულ გადაზიდვებზე, როდესაც აღნიშნული ავტოსაგრანსპორტო საშუალებები ასრულებენ მგზავრთა მაქოსებურ გადაყვანას;

მონაწილე მხარეები შეთანხმდნენ შეინარჩუნონ საერთაშორისო გადაზიდვების განხორციელების მოქმედი წესი, რომელიც ადრეა დადგენილი სსრკ სამთავრობო შეთანხმებებით სხვა ქვეყნებთან, ასევე კონვენციებისა და სხვა შეთანხმებების მოქმედება საავტომობილო გრანსპორტის სფეროში, რომელთა მონაწილედ ითვლებოდა სსრკ.



ამ პუნქტის პირველი აბზაცი არ ვრცელდება შეთანხმებაზე საავტომობილო გრანსპორტის სფეროში, რომელიც ხელმოწერილია შეთანხმებული მხარეების მიერ მესამე ქვეყნებთან წინამდებარე ოქმის ხელმოწერის მომენტამდე.

თითოეული მონაწილე მხარე, აცხადებს ერთმანეთს მესამე ქვეყნებთან საავტომობილო გრანსპორტის სფეროში შეთანხმებების შესახებ, პირველი პუნქტის 1-ლ აბზაცში აღნიშნული შეთანხმებით დადგენილი წესის შეცვლის თაობაზე.

მონაწილე მხარეები, ურთიერთგაგების საფუძველზე კოორდინაციას გაუწევს სამუშაოს; საავტომობილო გრანსპორტზე სამეცნიერო-ტექნიკურ პოლიტიკას;

საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების პროექტების, სტანდარტებისა და ნორმების შემუშავებას, რომელიც ახდენს საავტომობილო გრანსპორტის სამუშაოს რეგლამენტირებას.

ეს ოქმი წარმოადგენს წინამდებარე შეთანხმების განუყოფელ ნაწილს.

შესრულებულია: თბილისი, 3 თებერვალი 1994 წ. ორ პირად, ქართულ და რუსულ ენებზე, ამასთან ორივე პირს ერთნაირი ძალა აქვს.

საქართველოს რესპუბლიკის  
მთავრობის სახელით

რუსეთის ფედერაციის  
მთავრობის სახელით